

საქართველოს უნივერსიტეტი

სამართლის სკოლა

სამართალმცოდნეობის სადოქტორო პროგრამა

ხელნაწერის უფლებით

ვლადიმერ წითლაური

**არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის
ალტერნატიული მექანიზმები**

სამართალმცოდნეობის დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომის

სადისერტაციო მაცნე

მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი - 06

თბილისი

2023

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია

საქართველოს უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში

საბჭოს წევრები:

საბჭოს თავმჯდომარე: პროფესორი თამარ ლალიაშვილი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი თუმანიშვილი

საბჭოს წევრი: პროფესორი თამარ ებრალიძე

ოფიციალური ექსპერტები:

1. მორის შალიკაშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი;
2. იოსებ ვარძელაშვილი, სამართლის დოქტორი, პროფესორი
3. ბაჩანა ჯიშკარიანი, სამართლის დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება:

2023 წლის თარიღი, 28 იანვარი, 15:00 საათი

მისამართი: თბილისი, კოსტავას ქუჩა N 77ა, საქართველოს უნივერსიტეტის IV კორპუსი;
აუდიტორია 519.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და
უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: www.ug.edu.ge

სადისერტაციო მაცნე დაიგზავნა 2022 წლის 2 დეკემბერს

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ნათია მანჯიკაშვილი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება იყო, არის და იქნება თანამედროვე სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში. განსაკუთრებული ინტერესი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიმართ, მეოცე საუკუნის მიწურულიდან ფიქსირდება. ეს ის პერიოდია, როცა იურიდიულ ლიტერატურაში, არსებითი ყურადღება მახვილდება აღდგენით მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით. თავის მხრივ, აღდგენითი მართლმსაჯულება წარმოადგენს ფართო, მრავლისმომცველ კონცეფციას, რომელიც მოიცავს პრევენციას, განრიდების ღონისძიებებს, რეაბილიტაციას, რესოციალიზაციას და დაკავების/თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივებს. მართლმსაჯულების ეს მიდგომა, ხელს უწყობს ზიანის გამოსწორებას, მოწინააღმდეგე მხარეების შერიგებასა და საზოგადოებაში დარღვეული ჰარმონიის აღდგენას. იგი განსაკუთრებით ეფექტიანია, კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან მიმართებაში, ვინაიდან დადებით გავლენას ახდენს, მოზარდის მორალურ და ემოციურ განვითარებაზე.

ამ კუთხით, აღდგენითი მართლმსაჯულება პირდაპირ მიმართებაშია არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციასთან, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებთან. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის ძირითადი ამოცანაა, დაამკვიდროს საზოგადოებაში, იმ პირთა ღირსების პატივისცემა, რომელთაც დანაშაულის შედეგად მიაღდათ ზიანი და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, მიეცეს შანსი და მომავლის იმედი, კანონმორჩილი ცხოვრებისკენ.

ამდენად, საკითხი აქტუალურია, იმითაც, რომ სისტემური თვალსაზრისით არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ორ განსხვავებულ ტიპს განვიხილავთ, ერთია აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი ფორმები, რომლებიც შეიცავს პროკურატურის მიერ დაკისრებული ნებაყოფლობით ანაზღაურებას, ან რეპარაციას, ანუ განრიდებას. ხოლო, მეორე არის დაზარალებულის-დამნაშავეს მედიაცია, რომელიც შეიცავს ინტერპერსონალურ მოლაპარაკებების პროცესს დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის, რაც ტიპურად მედიატორის მიერ წარიმართება.

კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები

სადისარტაციო კვლევის მიზანია იურიდიული, ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და სოციოლოგიური ლიტერატურის შესწავლის და სასამართლო/პროკურატურის ორგანოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, წარმოდგენილ იქნეს, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის, როგორც, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსი, მიზანი და ამოცანები. სადავო საკითხების შესწავლის საფუძველზე, გაანალიზებულ, ახსნილ და გადაჭრილ იქნეს, აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით, გარკვეული სახის პრობლემები, პროკურატურის და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში. ამ მიზნის მისაღწევად, კვლევა წარიმართება რამდენიმე მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, გამოკვლეულ იქნება ჯერ ქართული და შემდგომ ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანულ სამართლის ოჯახის ქვეყნების სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებული საკითხები.

ამასთან, აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, წარმოჩენილ იქნეს საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესთა ბალანსი, არასრულწლოვნის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის უარყოფითი ზეგავლენის შედეგები და მასთან თანაფარდობაში, განრიდება-მედიაციის პროგრამის მნიშვნელობა. ნაშრომის მიზანია, ასევე, ერთის მხრივ, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ფარგლებში, საუკეთესო ინტერესების პრინციპის მაღალი სტანდარტის განსაზღვრა და მეორეს მხრივ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, მოხდეს მისაღები და საჭირო ცვლილებების შეტანა, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, აღნიშნული საკითხის კვლევის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სამეცნიერო გაანალიზების მაგალითზე, ნოვატორული მოსაზრებები იქნეს შეთავაზებული, ქართველი კანონმდებლისათვის.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და ძირითადი შედეგები

სადისერტაციო ნაშრომი წარმოადგენს არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოკვლევის მცდელობას. აღნიშნული ნაშრომი, ხელს შეუწყობს ქართულ იურიდიულ მეცნიერებას არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების კვლევაში. აღნიშნული საკითხის, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული კუთხით კვლევას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამაში, საუკეთესო ინტერესებს დაცვის მაღალი სტანდარტის განსაზღვრისთვის. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევა, ხელს შეუწყობს მეცნიერული წინადადებების შემუშავებას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კანონმდებლობის სრულყოფის მიღწევაში.

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის დედუქციური მეთოდი, რომელიც სწორი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, ზოგადი მსჯელობიდან, ახალი ცოდნის აღმოჩენის და კონკრეტული დასკვნების გამოტანის გზით. ასევე გამოსადგია, აგრეთვე ინდუქციური მეთოდიც, რომელიც საშუალებას მოგვცემს, კონკრეტული ფაქტებიდან, განზოგადებული მსჯელობა ჩამოყალიბდეს.

აღსანიშნავია, რომ გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებისა, ასევე, გამოყენებულ იქნა თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. ნაშრომის შესრულებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდი გახლდათ, სამართლებრივი ანალიზი და სასამართლო/პროკურატურის ორგანოების გადაწყვეტილებათა შესწავლა.

ნაშრომის თეორიული ღირებულება

ნაშრომი, თავისი მნიშვნელობით, აქტუალობით და სიახლით, მრავალფეროვანი, განსხვავებული და საინტერესოა. იგი გამოირჩევა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შექმნილი, სხვადასხვა კვლევებისაგან.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს, როგორც აღმოჩნდა, თეორიულთან ერთად, ასევე, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება. ქართულ და საზღვარგარეთის ქვეყნების სისხლის სამართლის ლიტერატურაში ჩატარებულმა კვლევამ, წარმოაჩინა, ის საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხები, რაც დამახასიათებელია აღნიშნული ინსტიტუტისთვის. სხვადასხვა სირთულეების გათვალისწინებით, რომელიც არსებობს საქართველოს სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში, სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს აღნიშნული მიმართულებით არსებული მდგომარეობის გამოსწორებაში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა

ნაშრომი შედგება შესავლის, ექვსი თავის, ორმოცდათექვსმეტი ქვეთავისა და დასკვნისაგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

შესავალი

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან მიმართებაში, თანამედროვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა, ამჟამად რადიკალურ ცვლილებებს განიცდის. შეიძლება ითქვას, რომ სხვა წლებთან შედარებით, იკლო სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და განხორციელების მაჩვენებელმა, ვინაიდან კანონმდებლობა, ვითარდება ლიბერალიზაციის, სისხლისსამართლებრივი რეპრესიების გამოყენების, რაც შეიძლება შეზღუდვის მიმართულებით. შესაბამისად, სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსებობა, იმდენად მნიშვნელოვანი

საკითხია, რამდენადაც არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა, ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი ტრადიციული მიზნები, როგორცაა დამნაშავეის დასჯა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, იცვლება რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ნიშნებით.

საქართველოს ხელისუფლებამ, სამოქალაქო და სამეცნიერო საზოგადოებასთან კონსულტაციების შედეგად, არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პოლიტიკის დაგეგმარებისა და ჰუმანური ხასიათის შექმნის კუთხით, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რადგან პარლამენტმა მიიღო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც სრულად 2016 წლის 1 იანვარს ამოქმედდა.

ხსენებული კოდექსის მიზანია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის, ასევე, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის უზრუნველყოფა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კანონმდებელმა, არსებითი ყურადღება გაამახვილა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე და განსხვავებული ფორმით შემოგვთავაზა, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, თუმცა, გაჩნდა გარკვეული ორაზროვნება საჯარო და საუკეთესო ინტერესთა ბალანსთან მიმართებაში.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ყოველთვის დგება მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე, როდესაც სახეზეა ორი დაპირისპირებული მხარის, ერთის მხრივ, დაზარალებულის, მეორეს მხრივ, არასრულწლოვნის ინტერესი. ეს არის დაპირისპირება, ერთი შეხედვით, სოციაუმის ორ მნიშვნელოვან სუბიექტს შორს. თუმცა, აქედან გამომდინარე, წარმოიშვება კონფლიქტში მართლმსაჯულების, სამართლიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებს შორის. სადაც, პირველ ადგილზე დგას, დემოკრატიული სახელმწიფოს როლი, ინტერესთა ბალანსის დაცვის მიმართულებით. ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვას განრიდება-მედიაციის პროცესში. რასთან დაკავშირებითაც, შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, განრიდების წინაპირობების განხილვის ჭრილში, ვერ პასუხობს საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს. ვინაიდან, კანონმდებელი, სრულწლოვანს გარკვეულწილად უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში ამყოფებს, ვიდრე არასრულწლოვანს. ვინაიდან, თუ ერთხელ არასრულწლოვანი განზრახი, თუ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენის მიუხედავად, ჩაერთვება განრიდების პროგრამაში, ამკ-ს მოთხოვნებიდან

გამომდინარე, მას, მეორეჯერ, ამ პროგრამაში ჩართვის შანსი აღარ აქვს და უნდა მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში. კვლევაში გამოიკვეთა, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, ამ დათქმის არსებობით, კანონმდებელი გარკვეულწილად გვერდს უვლის არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტებს. ვინაიდან, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში კანონმდებლის ნება, არც ერთ შემთხვევაში, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს, მის საუკეთესო ინტერესს. ამასთანავე, კანონმდებელი სრულწლოვანს, არასრულწლოვანთან შედარებით, უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებს, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლში, სადაც ჩამოყალიბებულია განრიდების წინაპირობები, არაფერია ნათქვამი, სრულწლოვნის განრიდების პროგრამაში მეორეჯერ ჩართვის აკრძალვაზე.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელსაც თეორიულთან ერთად, ასევე დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების საკითხი აქტუალურია, მაგრამ, სათანადოდ, სიღრმისეულად დაუმუშავებელია, რაც ხელს უშლის სამართალ შეფარდების პროცესს, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად. ვინაიდან, დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში ძირეულად არ გამოკვლეულა და არ მომხდარა მისი განხილვა, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკასთან თანაფარდობაში. აქედან გამომდინარე, დისერტაციაში განიხილება, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების წარმომავლობა და განვითარების ისტორია, როგორც ქართული ჩვეულებითი სამართლის, ისე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. განიხილება ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების მოდელები, მათი განმასხვავებელი ნიშნები, გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება არასრულწლოვანთა განრიდება/მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის თავისებურებებზე, მიზანზე, სტრუქტურასა და ამოცანებზე. გაანალიზდება სპეციალიზაციის სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ასევე განიხილება, ერთის მხრივ, არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამაში ჩართვის წინაპირობები, განრიდების ღონისძიებები, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის არსი, ფარგლები და მეორეს მხრივ, მედიაციის იდეა და მიზნები. დეტალურად იქნება გაანალიზებული, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ, სასამართლო-პროკურატურის ორგანოების პრაქტიკა, სტატისტიკური მონაცემები და გარკვეული ტენდენციები.

მიუხედავად ცალკეული საკითხების შესახებ ნაშრომების გარკვეული სიმწირისა, შეძლებისდაგვარად, კომპლექსურად იქნება გადმოცემული კონკრეტული დებულებები. ასევე, ამ თემის ცალკეული პრობლემების განხილვა, ერთი დისერტაციის ფარგლებში შეუძლებელია. თუმცა, წარმოდგენილი პრობლემების თავმოყრილი ანალიზი, წარმოჩენილი თეზისები, შეხედულებები და რეკომენდაციები, ერთგვარად დაეხმარება და ხელს შეუწყობს, როგორც თეორიტიკოსს, ისე პრაქტიკოსს იურისტებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების არსის, მიზნების და ფარგლების უფრო მკაფიოდ, ახლებურად დანახვაში, შეფასებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების, უფრო ნათლად დარეგულირება-გადაწყვეტაში.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ახალი სამეცნიერო-თეორიული და სასამართლო/პროკურატურის ორგანოების პრაქტიკული პრობლემების გათვალისწინებით, თემა, მეტად აქტუალურია სისხლის სამართლის პროცესისთვის. არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჭრილში, წარმოდგენილი პრობლემების სამეცნიერო ანალიზი, გარკვეულწილად გაუადვილებს, მოცემული საკითხით დაინტერესებულ პირს, უფრო სიღრმისეულად წარმართოს სამეცნიერო საქმიანობა.

თავების ანოტაციები

დისერტაციის შესავალი დაეთმობა კვლევის გაცნობას, კერძოდ, ძირითადი პრობლემების და თემის აქტუალობის, კვლევის მიზნებისა და ამოცანების წარმოჩენას, კვლევის მეთოდოლოგიის აღწერას, აგრეთვე, ნაშრომის სიახლის, მნიშვნელობის და ღირებულების დემონსტრირებას.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, პირველ თავში განხილულია, აღდგენითი მართლმსაჯულების წარმომავლობა, მისი მნიშვნელობა, ამოცანები და ფარგლები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჭრილში განხილულია, აღდგენითი მართლმსაჯულების ძირითადი არსი და იდეა, ასევე, ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი, რაც ნათლად წარმოაჩენს, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს.

ნაშრომის მეორე თავში მოცემულია, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმები, ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის ქვეყნებში, გერმანიის, ინგლისის, აშშ-ის და ბელგიის მაგალითებზე. ნაშრომის მეორე თავის ძირითად მიზანს, წარმოადგენს იმის დემონსტრირება, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებს, თანამედროვე სახელმწიფოების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში.

წინამდებარე ნაშრომის მესამე თავი სრულად ეთმობა, საქართველოში არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბების ეტაპებს, ასევე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში განრიდება-მედიაციის დადებითი როლის ნათელსაყოფად, ნაშრომში განხილულია, სისხლისსამართლებრივი დევნის უარყოფითი შედეგები, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ. გაანალიზებულია არასრულწლოვნის საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესები, სასამართლო და პროკურატურის პრაქტიკაში არსებულ კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეების მაგალითზე.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ მექანიზმებთან მიმართებაში, განხილულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა შეხედულებები, გადმოცემულია სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკის საინტერესო გადაწყვეტილებები და წარმოჩენილია, ამ კუთხით პრაქტიკაში არსებული ხარვეზები.

სადისერტაციო ნაშრომის მეოთხე თავი ეთმობა, არასრულწლოვანთა განრიდების წინაპირობებს, რასთან დაკავშირებითაც, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გარკვეულწილად ვერ პასუხობს საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალ სტანდარტს. ასევე გაანალიზებულია არასრულწლოვანთა სპეციალიზაციის როლი მართლმსაჯულებაში და ამ კუთხით არსებული საკანონმდებლო ხარვეზები. გამოკვეთილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში არსებული, მთელ რიგი საკანონმდებლო ხარვეზები და მოცემულია სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები.

ნაშრომის მეხუთე თავი ეთმობა, მედიაციის როლს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში. ნაშრომში წარმოჩენილი და გაანალიზებულია არასრულწლოვანთა განრიდების საქმეთა მედიაციით წარმართვის და წარმატებული მედიაციის მაჩვენებელი, რაც განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განსაზღვრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის მეექვსე თავში გაანალიზებულია, დაზარალებულის სტატუსი და როლი განრიდება-მედიაციის პროგრამის ფარგლებში. ასევე, ხაზია გასმული, თანამედროვე სახელმწიფოს გარკვეულ ვალდებულებაზე, დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

სადისერტაციო კვლევის დასკვნით ნაწილში, შეჯამებული იქნება, ყველა ის ძირითადი და პრობლემური საკითხი, რაც კვლევის მანძილზე დაიდენტიფიცირდა, აგრეთვე, მოკლედ და კონკრეტულად იქნება წარმოდგენილი, ყველა შემუშავებული რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციები გამიზნული იქნება, ზოგადად კანონმდებლობის, პროკურორების და მოსამართლეებისათვის, აგრეთვე, ამ მიმართულებით მომუშავე იურისტებისთვის.

დასკვნა

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების საკითხს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, როგორც აღმოჩნდა, თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ექცევა. ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში ჩატარებულმა კვლევამ, წარმოაჩინა, ის საკვანძო და მნიშვნელოვანი საკითხები, რაც დამახასიათებელია აღნიშნული ინსტიტუტისთვის. ნაშრომში გადმოცემულია აღდგენითი მართლმსაჯულების ისტორიული ასპექტები, ამოცანები და მიზნები, ასევე მისი განვითარების და ხელშეწყობის პერსპექტივები. ისტორიულ ჭრილში შესწავლილი და გაანალიზებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები, ძველ ქართულ ჩვეულებით სამართალში. ხაზია გასმული, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ფართო და მრავლისმომცველ კონცეფციაზე. ტრადიციული და აღდგენითი მართლმსაჯულების ურთიერთგამიჯვნაზე მსჯელობით, წარმოჩინებულია აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტების მნიშვნელობა და როლი თანამედროვე ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში.

ნაშრომში განხილულია არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები, ანგლოსაქსური და რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახის, თანამედროვე ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჭრილში გერმანიის, ინგლისის, აშშ-ის და ბელგიის კანონმდებლობის გაანალიზებისას, გამოიკვეთა, რომ თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა, არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართულებით, თავისი სპეციფიკური ხასიათით გამოირჩევა. ანგლოსაქსური სამართლის ოჯახის ქვეყნებში, განსხვავებით რომანულ-გერმანული ოჯახისგან, უფრო დიდი დოზით გამოვლინდა არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები. თუმცა, განხილული სამართლებრივი სისტემებიდან, არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობა, ყურადღების მიღმა არ ტოვებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესს.

ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის ჩამოყალიბების ეტაპებს საქართველოში, ხაზია გასმული, იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების ჩამოყალიბებას, ისტორიულად საკმაოდ მკაცრი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა უძღვოდა წინ. აღნიშნული პოლიტიკის გატარება, როგორც სამეცნიერო, ისე სამოქალაქო საზოგადოების ფართო წრეებში უარყოფითად შეფასდა, ვინაიდან, სწორედ მის ფარგლებში ხდებოდა, როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა უფლებების და თავისუფლებების არსებითი ხასიათის დარღვევები, რასაც შედეგად მოჰყვა, საქართველოს საერთაშორისო იმიჯის გაუარესება. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული, არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის პროგრამის მიზანსა და

მნიშვნელობაზე. თვალნათლივ განმარტებულია, რომ განრიდების და მედიაციის პროგრამამ, შეცვალა სამართლებრივი დამოკიდებულება, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისადმი და მართლმსაჯულება მიმართა, ამ უკანასკნელის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ. ასევე, მისცა არასრულწლოვანს საშუალება, მიუხედავად მის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისა, ჰქონდეს მნიშვნელოვანი შანსი და იმედი კანონმორჩილი ცხოვრებისკენ. გამოიკვეთა, რომ თავისუფლების აღკვეთას განსაკუთრებული უარყოფითი გვერდითი მოვლენები აქვს, არასრულწლოვანთა მიმართ. ვინაიდან, თავისუფლების აღკვეთა, ავტომატურად ზღუდავს პატიმრობაში მყოფი ადამიანის კავშირს გარე სამყაროსთან. ამ კუთხით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ერთმანეთის საპირწონედ დგას, არასრულწლოვნის საუკეთესო და სისხლისსამართლებრივი დევნის ინტერესები, რომელთა შორის ბალანსის დაცვა, თანამედროვე სახელმწიფოსთვის გარკვეულ ვალდებულებას წარმოადგენს. კვლევაში ინტერესთა ბალანსზე მსჯელობისას, განვიხილეთ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმე საგამომიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკიდან, რომლებზეც დღეს, როგორც მეცნიერებას, ისე პრაქტიკას, არ გააჩნია ერთიანი პოზიცია. აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა, რომ თითოეულ სისხლის სამართლის საქმეში, უფლებამოსილმა სახელმწიფო უწყებებმა, ობიექტურად უნდა განსაზღვრონ, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესი და ყოველივე ეს, არ უნდა ატარებდეს ფორმალურ ხასიათს.

დისერტაციაში წარმოდგენილია ნოვატორული იდეები, არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებისას, რამდენიმე მწვავედ დასმულ საკითხთა ახლებურად გადაწყვეტის შესახებ. შემოთავაზებულია ამ კუთხით, მთელი რიგი საკანონმდებლო სიახლეები.

ნაშრომში, ასევე განხილულია, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 40-ე მუხლში განსაზღვრული განრიდების წინაპირობები, რომლებიც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად დაზუსტებას საჭიროებს. ვინაიდან, კანონმდებელი განრიდების პროგრამაში ჩართვის დროს, სრულწლოვანს უფრო პრივილეგიურულ მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე არასრულწლოვანს. სრულწლოვანთან მიმართებაში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168¹-ე მუხლი, არ ითვალისწინებს დათქმას, რითაც ნასამართლობის არ ქონა, განრიდების პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში სავალდებულო მოთხოვნა იქნება. მაშინ როცა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 40-ე მუხლში კანონმდებელი, ხაზს უსვამს ნასამართლობას, როგორც განრიდების პროგრამაში ჩართვის დამაბრკოლებელ გარემოებას. დღევანდელი გადასახედიდან გამომდინარე, მაშინ როცა, არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვა, ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ ძირითად პირორიტეტად განიხილება, სრულწლოვნისთვის, იმაზე მეტრი პრივილეგიის მინიჭება, ვიდრე არასრულწლოვნისთვის, გარკვეულწილად ვერ პასუხობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოწვევებს.

ნაშრომში გამოიკვეთა, რომ აუცილებელია, არასრულწლოვანთა შემხებლობაში მყოფ პირველად თანამდებობრივ რგოლთან ერთად სპეციალიზირებული იყოს, ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი უფლებამოსილი პირებიც, ვინაიდან, სწორედ მათგან ხდება მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება და შესაძლებელია, რომ ეს პირი, არ იყოს სპეციალიზირებული. ასევე, სამართალდამცავი ორგანოების პრაქტიკაში, ხშირია, როგორც რიგით თანამშრომელთა, ისე ხელმძღვანელ უფლებამოსილ პირთა, სამსახურებრივი როტაცია, თანამდებობრივი დაქვეითება, ან დაწინაურება და აღნიშნულმა, ხელი არ უნდა შეუშალოს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მუდმივ პროცესს. ამ კუთხით, ნაშრომში შემუშავებულია, მთელი რიგი საკანონმდებლო რეკომენდაციები, რაც ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვის, მაღალი სტანდარტის განსაზღვრისთვის.

ნაშრომში გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვანია, მედიაციის ზრდის ტენდენციის შენარჩუნება და პანდემიით გამოწვეული პრობლემებთან ეფექტიანი გამკლავება, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, მედიაციის პროცესი განსაკუთრებულ როლს თამაშობს, მხარეებს შორის შემდგომი კონფლიქტების აცილებისა და არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაცნობიერებაში.

დისერტაციის ცალკე თავში ყურადღებაა გამახვილებული, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ფარგლებში, დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობაზე და გამოიკვეთა, რომ თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფო არასრულწლოვანთა აღდგენითი მართლმსაჯულების ჭრილში, ვალდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს დანაშაულის მსხვერპლს და მისცეს მას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კონსტიტუციით დაცული ძირითადი უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციის შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუკი სახელმწიფო აღნიშნულ ვალდებულებას არ შეასრულებს და დაზარალებულის ინტერესებს უგულბებელიყოფს, ამას შედეგად მართლმსაჯულებისა და მართლწესრიგის მიმართ მოსახლეობის ნდობის დაკარგვა მოჰყვება.

რაც შეეხება, სასამართლო და პროკურატურის ორგანოების პრაქტიკას, ნაშრომში გამოკვეთილია, საკანონმდებლო და სასამართლო/პროკურატურის ორგანოების პრაქტიკაში არსებული ხარვეზები. ვფიქრობთ, რომ ქართული მართლმსაჯულების სისტემა, ამ შემთხვევაშიც, ვალდებულია, მეტი დრო და ყურადღება დაუთმოს, ზემოთ აღნიშნული საკვანძო საკითხების განხილვას. ვინაიდან, ყოველივე ეს, პირდაპირ მიმართებაშია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების მართებულ განსაზღვრებასთან.

ნაშრომიდან ნათლად ჩანს, რომ არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების განხილვა, მეტად აქტუალურ თემას წარმოადგენს, ამიტომ აღნიშნული საკითხის ირგვლივ მუშაობა კვლავაც უნდა გაგრძელდეს, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანს, სისხლის

სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო/პროკურატურის პრაქტიკის განვითარებაში. ყველა ზემოთ განხილული საკითხის კვლევის, ძირითადი თეზისების შეჯერების საფუძველზე, უნდა აღინიშნოს, განრიდება და მედიაციის, როგორც არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმების საკითხი, მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო თემაა, დღევანდელ სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო/პროკურატურის პრაქტიკაში.

სწორედ სასამართლოს და პროკურატურის ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სისხლისსამართლებრივი ნორმების სწორად გამოყენებას, ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ვინაიდან აღნიშნულით განისაზღვრება, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვის მაღალი სტანდარტი.

General description of the thesis

Relevance of the topic

Juvenile justice was, is and will be the center of attention of modern states. A special interest in juvenile justice has been recorded since the end of the twentieth century. This is the period when substantial attention in legal literature is focused on restorative justice. Restorative justice, for one's part is a broad, multifaceted concept that includes prevention, diversionary measures, rehabilitation, resocialization and alternatives to detention/imprisonment. This approach to justice helps to repair the damage, reconcile the conflicting parties and restore the broken harmony in the society. It is especially effective with regard to a minor in conflict with the law, as it has a positive impact on the moral and emotional development of the adolescent.

In this regard, restorative justice is directly related to juvenile diversion-mediation as an alternative mechanism to criminal prosecution. The main task of the Juvenile Diversion and Mediation Program is to instill in the society respect for the dignity of those who have been harmed as a result of crime and to give the juvenile in conflict with the law a chance and hope for a future, law-abiding life.

Thus, the issue is relevant, in that we consider two different types of use of restorative justice for minors from a systemic point of view, one is forms of restorative justice that include voluntary compensation, or reparation, or diversion imposed by the prosecutor's office. And the second is victim-offender mediation, which involves an interpersonal negotiation process between the victim and the offender, which is typically facilitated by a mediator.

The main goals and objectives of the research

The purpose of the dissertation research is to present the essence, purpose and tasks of juvenile diversion-mediation as an alternative mechanism of criminal prosecution, based on the study of legal, psychological, philosophical and sociological literature and the analysis of the practice of judicial/prosecution bodies. Based on the study of disputed issues, certain types of problems in the practice of the prosecutor's office and judicial bodies will be analyzed, explained and resolved with regard to this issue. To achieve this goal, the research will be conducted in several directions. First of all, with regard to the mentioned theme, firstly the issues in the criminal law science of Georgian and then Anglo-Saxon and Romano-German law family countries will be examined.

In addition, the aim of this paper is to show the balance of the best interests and criminal prosecution in juvenile justice, the consequences of the negative impact of criminal prosecution on minors and, in relation to it, the importance of the diversion-mediation program. The goal of the research also is, on the one hand, to define a high standard of the principle of best interests within the juvenile diversion-mediation program, and on the other hand, based on scientific and practical experience in juvenile justice, to make acceptable and necessary changes in the criminal law of Georgia. The goal of the paper is to propose innovative ideas for the Georgian legislator, based on the example of the scientific analysis of the theoretical and practical component of the research of the mentioned issue.

Scientific novelty and main results of the thesis

The dissertation is an attempt to examine juvenile diversion-mediation as an alternative mechanism to criminal prosecution. This thesis will contribute to Georgian legal science in the research of alternative mechanisms of criminal prosecution of minors. Examining this issue, both theoretically and practically, will be crucial for determining a high standard of protection of the best interests of the juvenile diversion-mediation program. Accordingly, the presented research will contribute to the development of scientific proposals, to achieve the perfection of legislation in juvenile justice.

Theoretical and methodological foundations of the research

The paper uses the deductive method of research, which provides the opportunity to make correct conclusions, from general reasoning, through the discovery of new knowledge and the drawing of specific conclusions. Also

useful is the inductive method, which will allow us to form a generalized reasoning from concrete facts. It should be noted that in addition to the methods listed above, qualitative and quantitative research methods were also used. During the completion of the thesis, the most important method was the legal analysis and the study of the decisions of the judicial/prosecution authorities.

The theoretical value of the thesis

The thesis, with its importance, relevance and novelty, is diverse, exceptional and interesting. It is distinguished from various studies created in connection with the mentioned issue.

The practical significance of the thesis

In juvenile justice, alternative mechanisms of criminal prosecution of juveniles, as it turned out, are of great practical importance, along with theoretical ones. The research conducted in the criminal law literature of Georgian and foreign countries revealed the key and important issues that are characteristic of the said institution. Taking into account the various difficulties that exist in the practice of Georgian courts and prosecutor's offices, the thesis will make a significant contribution to correcting the current situation in the mentioned field.

The structure and volume of the thesis

The thesis consists of an introduction, six chapters, fifty-six subchapters and a conclusion.

The main content of the thesis

Introduction

In relation to juvenile justice, the criminal procedural legislation of the leading countries of the modern world is currently undergoing radical changes. It can be said that, compared to other years, the rate of initiation and implementation of criminal prosecution decreased, since the legislation is developing in the direction of liberalization, limiting the use of criminal repression as much as possible. Accordingly, the existence of alternative

mechanisms for the criminal prosecution of minors in the criminal law is so important that the protection of the best interests of minors means that the traditional goals of criminal justice, such as the punishment of the offender, for minors in conflict with the law, are replaced by signs of rehabilitation and restorative justice.

As a result of consultations with the civil and scientific society, the Georgian authorities have taken an important step in terms of planning juvenile criminal justice policy and acquiring a humane character, as the Parliament adopted the Juvenile Justice Code, which fully entered into force on January 1, 2016.

The purpose of the said code is to protect the best interests of minors in criminal justice, resocialize minors in conflict with the law, protect the rights of minor victims and minor witnesses, prevent secondary victimization and re-victimization, as well as prevent new crimes and ensure law and order. In Juvenile Justice, the legislator has focused substantial attention on the best interest of the minor in conflict with the law and has proposed, in a different form, alternative mechanisms for the criminal prosecution of minors, however, there has been some ambiguity regarding the balance of public and best interests.

Juvenile justice is always faced with an important problem when there are two opposing parties, on the one hand, the victim, on the other hand, the interest of the juvenile. This is a confrontation, at first glance, between two important subjects of society. However, this creates a conflict between justice, fairness, public safety and the best interests of the minor. Where the role of the democratic state, with regard to protecting the balance of interests, is in the first place. It is also important to protect the best interests of the minor in the diversion-mediation process. In this regard, it can be said that the Code of Juvenile Justice, in terms of considering the prerequisites for diversion, cannot meet the high standard of protection of the best interests. Since, the legislator places an adult in a somewhat more privileged position than a minor. Because, if a minor, regardless of committing an intentional or crime by negligence is involved in a diversion program, depending on the requirements of the AMC, he/she does not have a chance to be involved in this program a second time and must be prosecuted. The research revealed that, with this reservation in the Code of Juvenile Justice, the legislator to some extent bypasses the high standards of protection of the best interests of minors. Because it is generally recognized that the will of the legislator in juvenile justice should not, in any case, conflict with his best interest. In addition, the legislator gives more advantages to adults compared to minors, since Article 168¹ of the Code of Criminal Procedure, which sets out the prerequisites for diversion, does not say anything about the prohibition of an adult's inclusion in the diversion program a second time.

In juvenile justice, this is one of the most important problems, which, along with theoretical, also has great practical importance, both in the process of law making and law enforcement.

In the Georgian legal literature, the issue of alternative mechanisms of criminal prosecution of minors is relevant, but, appropriately, it is not elaborated in depth, which hinders the process of justice, both theoretically and practically. Since, from today's point of view, diversion-mediation of minors, as an alternative mechanism of criminal prosecution, has not been fundamentally examined in terms of restorative justice, and it has not been discussed in relation to the practice of judicial and prosecutor's offices. Therefore, the origin and development history of alternative mechanisms of criminal prosecution of minors are discussed in the dissertation, both according to Georgian customary law and the legislation of developed countries. Traditional and restorative justice models will be examined, their distinguishing features will be discussed, in addition, special attention will be paid to the features, purpose, structure and tasks of juvenile diversion/mediation as an alternative mechanism to criminal prosecution. The standards of specialization in juvenile justice will be analyzed, as well as on the one hand the prerequisites for inclusion in the juvenile diversion program, diversion measures, the essence and scope of the individual assessment report will be discussed, and on the other hand the idea and goals of mediation will be examined. The practice, statistical data and certain trends of judicial-prosecution authorities will be analyzed in detail in relation to minors in conflict with the law.

Despite the scarcity of thesis on certain issues, as far as possible, specific provisions will be presented comprehensively. Also, it is impossible to discuss certain problems of this topic within the framework of one thesis. However, the collected analysis of the presented problems, the presented theses, views and recommendations will in a way help and support both the theoreticians and practicing lawyers in juvenile justice, in seeing the essence, goals and scope of alternative mechanisms of criminal prosecution in a clearer, new way, in evaluating and in their practical activities in more clearly regulating and solving the problems related to the mentioned issue.

Therefore, we think that, taking into account the new scientific-theoretical and practical problems of judicial/prosecution bodies, the topic is very relevant for the criminal justice process. In terms of alternative mechanisms of criminal prosecution of minors, the scientific analysis of the presented problems will make it somewhat easier for the person interested in the given issue to conduct scientific activities in more depth.

Annotations of chapters

The introduction of the dissertation will be devoted to the introduction of the research, in particular, to the presentation of the main problems and relevance of the topic, the goals and objectives of the research, the

description of the research methodology, as well as the demonstration of the novelty, importance and value of the work.

To fulfill the goals and objectives of the research, the first chapter discusses the origin of restorative justice, its importance, objectives and scope. In terms of juvenile justice, the basic essence and idea of restorative justice is examined, as well as all the important issues that clearly demonstrate the high standard of protection of the best interests of juveniles.

The second chapter of the thesis presents alternative forms of criminal prosecution of minors in the countries of the Anglo-Saxon and Romano-German law family, on the examples of Germany, England, USA and Belgium. The main goal of the second chapter of the thesis is to demonstrate how much importance is attached to alternative mechanisms of criminal prosecution of minors in the criminal justice systems of modern states.

The third chapter of this thesis is fully devoted to the stages of formation of juvenile diversion-mediation as an alternative mechanism of criminal prosecution in Georgia, as well as to clarify the positive role of diversion-mediation in juvenile justice, the negative consequences of criminal prosecution for minors in conflict with the law are examined in the paper. The best interests of the minor and criminal prosecution are analyzed, using the example of specific criminal cases in the practice of the court and prosecutor's office.

In relation to the alternative mechanisms of criminal prosecution of minors, the views of Georgian and foreign scientists are discussed, the interesting decisions of the judicial and prosecutorial bodies' practice are presented, and the gaps in practice in this regard are presented.

The fourth chapter of the dissertation is devoted to the prerequisites for the diversion of minors, regarding which the Code of Juvenile Justice clearly fails to meet the high standard of protection of the best interests. The role of specialization of minors in justice and the existing legal gaps in this regard are also analyzed. A number of legal gaps in the Juvenile Justice Code are highlighted and recommendations are given.

The fifth chapter of the thesis is devoted to the role of mediation in juvenile justice. The paper presents and analyzes the rate of mediation of juvenile diversion cases and successful mediation, which is one of the important criteria for determining the effectiveness of the diversion-mediation program.

In the sixth chapter of the dissertation, the status and role of the victim in the scope of the diversion-mediation program is analyzed. It is also underlined the certain obligation of the modern state regarding the legal status of the victim.

In the final part of the dissertation research, all the main and problematic issues that were identified during the research will be summarized, as well as all the elaborated recommendations will be briefly and concretely presented. The mentioned recommendations will be aimed, in general, for the legislation, prosecutors and judges, as well as for lawyers working in this field.

Conclusion

Due to its theoretical and practical importance, the issue of alternative mechanisms of criminal prosecution of minors in juvenile justice receives a lot of attention. The research carried out in Georgian and foreign literature revealed the key and important issues that are characteristic of the said institution. The paper presents the historical aspects, tasks and goals of restorative justice, as well as the perspectives of its development and promotion. The elements of restorative justice, in ancient Georgian customary law, are studied and analyzed from a historical point of view. The emphasis is on the broad and inclusive concept of restorative justice for minors. By discussing the mutual separation of traditional and restorative justice, the importance and role of the elements of restorative justice in the legal space of the modern country is presented.

Alternative mechanisms of criminal prosecution of minors, according to the Anglo-Saxon and Romano-German law family, the legislation of modern countries, are discussed in the thesis. Analyzing the legislation of Germany, England, the USA and Belgium in the field of juvenile justice, it was revealed that each country's legislation with regard to juvenile restorative justice has its own specific character. In the countries of the Anglo-Saxon family of law, in contrast to the Romano-German family of law, the elements of restorative justice for minors were revealed in a larger dose. However, from the reviewed legal systems, none of the country's legislation ignores the interest of public safety.

In the paper, a separate chapter is devoted to the stages of the formation of diversion and mediation of minors in Georgia, emphasizing the fact that the formation of alternative mechanisms of criminal prosecution of minors in Georgia was historically led by a rather strict zero-tolerance policy. The implementation of the mentioned policy was negatively evaluated in the wide circles of both the scientific and civil society, since it was within its framework that violations of the rights and freedoms of both adults and minors took place, which resulted in the deterioration of the international image of Georgia. The paper focuses on the purpose and importance of the juvenile diversion and mediation program. It is clearly explained that the diversion and mediation program changed the legal attitude towards the minor in conflict with the law and directed justice towards the protection of the latter's best interests. Also, it allowed the minor, despite committing a criminal act, to have a significant chance and

hope for a law-abiding life. It was revealed that imprisonment has special negative side effects for minors. Because imprisonment automatically limits the connection of the imprisoned person with the outside world. In this regard, in juvenile justice, the best interests of the juvenile and the interests of the criminal prosecution stand as a counterweight to each other, and maintaining a balance between them is a certain obligation for the modern state. While discussing the balance of interests in research, we discussed several criminal cases from the practice of investigative and judicial bodies, on which today, both science and practice do not have a unified position. Therefore, it was revealed that in each criminal case, authorized state agencies should objectively determine the best interest of minors and all this should not be of a formal nature.

The dissertation presents innovative ideas on the use of alternative mechanisms of criminal prosecution of minors to solve some acute issues in a new way. A number of legislative innovations have been proposed in this regard. The paper also discusses the prerequisites for diversion defined in Article 40 of the Juvenile Justice Code, which need to be clarified to some extent based on the best interests of the minor. Since, the legislator puts an adult in a more privileged position than a minor when he/she is included in the diversion program. In relation to an adult, Article 168¹ of the Code of Criminal Procedure does not provide for a reservation, thus not having a conviction will be a mandatory requirement in case of inclusion in the diversion program. Whereas, in Article 40 of the Juvenile Justice Code, the legislature emphasizes conviction as a disincentive to enroll in a diversion program. From today's point of view, while protecting the best interests of minors is considered one of the main priorities for our country, granting more privileges to adults than to minors does not respond to the challenges of juvenile justice.

The thesis revealed that it is necessary to specialize the authorized persons in a leadership position together with the primary official in contact with minors, since it is from them that a number of important decisions are made and it is impossible that this person is not specialized. Also, in the practice of law-enforcement bodies, it is common for both ordinary employees and management officials to have job rotation, demotion, or promotion, and this should not interfere with the ongoing process of protecting the best interests of minors. In this regard, the paper has elaborated a number of legislative recommendations, which we think are important for determining a high standard of protection of the best interests of minors.

The paper revealed that it is important to maintain the growth trend of mediation and effectively deal with the problems caused by the pandemic, because, as already mentioned, the mediation process plays a special role in avoiding further conflicts between the parties and in understanding the crime committed by a minor.

In a separate chapter of the dissertation, attention is focused on the legal status of the victim within the juvenile diversion-mediation program, and it was highlighted that the modern legal state in terms of restorative justice

for minors is obliged to pay special attention to the crime victim and give him/her the opportunity to realize the basic rights and interests protected by the constitution in the process of justice implementation. In the event that the state does not fulfill the mentioned obligation and ignores the interests of the victims, this will result in the loss of the population's trust in justice and law and order.

As for the practice of judicial and prosecutor's offices, the thesis highlights the gaps in the practice of legislative and judicial/prosecution authorities. We think that the Georgian justice system, in this case too, is obliged to devote more time and attention to the discussion of the key issues mentioned above. Because all this is directly related to the correct determination of the best interests of a minor in conflict with the law.

It is clear from the paper that the discussion of alternative mechanisms of criminal prosecution of minors is a very relevant topic, therefore the research around the mentioned issue should continue, which will make a certain contribution to the development of criminal law science and court/prosecutor's practice. Based on the research of all the issues discussed above, the reconciliation of the main theses, it should be noted that the issue of diversion and mediation as alternative mechanisms of criminal prosecution of minors is a very important and noteworthy topic in today's criminal justice science and court/prosecution practice.

It is the decisions made by the court and the prosecutor's office and the correct application of criminal law norms that are of particular importance in juvenile justice, since the high standard of protection of the best interests of minors is determined by this.

არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმები